საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-82

25/01/2019

ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნარუჯას მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, მდ. ბჟუჟაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტის განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნარუჯაში, მდ. ბჟუჟაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნარუჯაში, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X – 249343.5; Y- 4645473.5; X – 249561.9; Y- 4645329.1. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დაახლოებით 300 მ-ში.

ავარიული უბანი მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნარუჯაში, მდ. ბჟუჟის მარცხენა ნაპირზე. საკვლევი სამუშაოების ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო უბანზე უკვე არსებული გაბიონის ბალიშები ამორტიზებულია და დეფორმირებულია და ვეღარ ასრულებს დაცვით ფუნქციას. წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ტერიტორიის ეროზიისგან დაცვის მიზნით საჭიროა ახალი ნაპირდამცავი ნაგებობის აგება ოთხ იარუსიანი გაბიონის ტიპის ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის გზით.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 280 მ. სიგრძის გაბიონის მოწყობა. გაბიონის მოწყობისას გამოყენებული იქნება 1.0X1.0X.1.5 მ. და 1.0X.1.0X2.0 მ. ზომის ყუთები. ლეიბის ზომა იქნება 60.0X2.0X0.3 მ. მშენებლობისას გამოიყენება PVC პოლივინილქლორიდით დაფარული 3.7მმ მავთული. გაბიონის ყუთების ზომა განისაზღვრება 8X10 მმ.

საპროექტო ნაგებობის მარაგი დატბორვაზე შეადგენს 0.5 მ-ს, ხოლო მარაგი წარეცხვაზე 0.8 მ. ნაგებობის უკან მოეწყობა უკუყრილი.

სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო დროდ განისაზღვრება 6 (ექვსი) თვე.

მდ. ბჟუჟას ყველაზე წყალუხვ პერიოდად ითვლება გაზაფხული, როდესაც ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 50%. მდ. ბჟუჟას კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე-$H_{მაქს.}$=3.87 მ.

სკრინინგის განცხადების თანახმად უახლოესი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მდებარეობს 30 მ-ს დაშორებით, პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას, შესაბამისად მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ხარისხზე და სტაბილურობაზე მოსალოდნელი არ არის.

ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იქნება საამშენებლო ბანაკი. სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდება თავის დისლოკაციის ადგილს.

აღნიშნული სკრინინგის განცხადების შესაბამისად ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება შემცირებული, რაც უზრუნველყოფილი იქნება: მანქანა/დანადგარების ტექნიკური გამართულობით, მანქანა/დანადგარების და პოტენციური დამაბინძურებელი მასალების განთავსებით ზედაპირული წყლის ობიექტიდან არანაკლებ **50**მ დაშორებით. მუდმივი კონტროლის და უსაფრთხოების ზომების გატარება წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; მდინარის კალაპოტის სიახლოვეს მანქანების რეცხვის აკრძალვა; მასალების და ნარჩენების სწორი მენეჯმენტი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა არ იქნება მნიშვნელოვანი და მათი მართვა (წარმოქმნის შემთხვევაში) განხორციელდება სამშენებლო კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისად გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნარჩენების კუთხით მოსალოდნელი არ არის.

პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მრავალწლიანი ნარგავები. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების ზონა არ ხვდება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი შესაძლოა ქონდეს მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე. სამუშაოების განხორციელების ხანმოკლე ვადებიდან და ტექნიკის განსაზღვრულ საათებში მუშაობიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

აღნიშნული ანგარიშის შესაბამისად ხმაურს გამოიწვევს სამშენებლო ტექნიკა მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო საათებში. საპროექტო ტერიტორიის მონაკვეთებიდან უახლოეს მჭიდროდ დასახლებულ პუნქტამდე მანძილის და სამუშაოების განხორციელების ვადის გათვალისწინებით ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობასთან დაკავშირებული რაიმე მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკი სამუშაოების შესრულების და შემდგომ ექსპლუატაციის პერიოდში არ იქნება მოსალოდნელი.

სამშენებლო ობიექტის ადგილმდებარეობის და უახლოეს მჭიდროდ დასახლებულ პუნქტამდე მანძილის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს სოფ. ნარუჯას მოსახლეობაზე.

კუმულაციური ზემოქმედება აღნიშნული სამუშაოების განხორციელების ეტაპზე არ არის მოსალოდნელი.

საპროექტო ტერიტორიის მდებარეობიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა ზემოქმედებას არ ახდენს ჭარბტენიან ტერიტორიასთან და შავი ზღვის სანაპირო ზოლთან.

საპროექტო ზონის სიახლოვეს არ არის დაცული ტერიტორიები.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა ობიექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის განხორციელება არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ნარუჯას მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ბჟუჟას ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი